



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს N 2 გადაწყვეტილებით

„--09----“ -----მარტ----- 2019 წ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

- *უმღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* მაგისტრატურა (II საფეხური)
- *სწავლების ენა:* ქართული
- *მიმართულება:* ბიზნესის ადმინისტრირება
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
Master of Business Administration
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 4 სემესტრი
- *სამაგისტრო პროგრამის მოცულობა:* 120 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელები:* თ. დოლიაშვილი, პროფესორი

- **სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონკურსანტი გათავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდიდან თუ წარმოადგენს შესაბამის სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე. ინფორმაციის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო საკითხები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი, ანუ 4 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; 120 კრედიტი = 3000 სთ.).

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება), პრაქტიკას, სამაგისტრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადება და დაცვა).

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცისა და შრომითი ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, რომელსაც ექნება:

- ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და აღრიცხვა-ანალიზის სფეროში;
- ბიზნეს-გარემოსა და რისკების შეფასების, სწორი მარკეტინგული, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციის უნარი;
- დარგობრივი კომპეტენციების განახლების განხორციელებისასთვის აუცილებელი საჭიროებების დაგეგმვის მზაობა, ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.

კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა.

მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. არის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე. სამაგისტრო პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებული და უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და მის გრადაციას მარტივიდან რთულისკენ.

“ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამა

120 კრედიტი, მათ შორის:

სასწავლო კომპონენტი:

90 კრედიტი

- *სავალდებულო სასწავლო კურსები:* 65 კრედიტი
- *პრაქტიკა:* 10 კრედიტი
- *სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები:* 15 კრედიტი

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა:

30 კრედიტი

სწავლება-სწავლის მეთოდები

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

აქედან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტების ქმედებასა და შედეგზე მიმართული მეთოდები. კერძოდ, ლექცია, სწავლება კეთებით, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია, ელექტრონული რესურსით სწავლება, პრობლემაზე, პროექტსა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება და ინტერპრეტირება, დისკუსია-დებატები, ზეპირი გამოკითხვა, შემთხვევების შესწავლა და მათი ანალიზი, ჯგუფში მუშაობა, გონებრივი იერიში, წერილობითი დავალებების შესრულება, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, პრაქტიკულ მაგალითებზე მუშაობა, პროფესიული ანგარიშის შედგენა, დემონსტრირება, საშინაო დავალების (ნაშრომი/პროექტი/თეზისი) დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით და ა.შ.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება. რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო მაგისტრანტის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება - სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>1. განსაზღვრავს ბიზნესის სუბიექტების ინტერესების და საქმიანი ორგანიზაციების ფუნქციონირების მულტიკულტურულ თავისებურებებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, აღრიცხვა-ანალიზის პროცესის კროსდისციპლინალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე.</p>
<p>უნარი</p>	<p>2. არჩევს მარკეტინგის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს და რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრების სტრატეგიებს;</p> <p>3. იყენებს ლიდერის ეფექტური ქცევის უნარებსა და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკურ მეთოდებს სხვადასხვა ბიზნეს-პროექტების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციისა და საბაზრო რისკების პირობებში.</p> <p>4. აფასებს სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო რისკებს გლობალურ ბიზნესგარემოში სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად;</p> <p>5. აფასებს გადახდისუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას ფირმის ფარული რეზერვების გამოსავლენად მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;</p> <p>6. კრიტიკულად აანალიზებს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებთან</p>

	დაკავშირებულ რთულ ან არასრულ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს; 7. ასაბუთებს არგუმენტირებულ დასკვნებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო ტექნოლოგიებით ახდენს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	8. გეგმავს დამოუკიდებლად ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ საჭიროებებს; 9. იცავს ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო ნორმებს და შეაქვს წვლილი ამ ღირებულებების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების პროცესში.

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 %. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის დახასიათების გათვალისწინებით მაგისტრანტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი მაგისტრანტთა/სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტია. შეფასებას ექვემდებარება სტუდენტის ანგარიში პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21 ქულა- მაქს. 60 ქულა), ხოლო პრაქტიკის დაცვა ფასდება კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა-მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასებისა და კომისიის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას მაქს. 100 ქულით. შეფასების წესი და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

- შეფასების სისტემა უშვებს **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

▪ **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს: სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ადგილობრივ ორგანიზაციებში, საფინანსო-ეკონომიკურ და ბიზნეს-ორგანიზაციებში, კერძო სამეწარმეო და კონსალტინგურ ფირმებში, დაიკავოს მმართველობითი რგოლის მენეჯერის პოზიციები და განახორციელოს მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ანალიტიკური და სხვა სახის საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს - სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე დოქტორანტურაში შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციო - ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი და შესაბამისი

პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული ტექნიკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო - კვლევით საქმიანობის განხორციელებას; მაგისტრანტებისათვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: **Cambridge Journals Online** (<https://www.cambridge.org/core>); **e-Duke Journals Scholarly Collection** (<https://www.dukeupress.edu/>); **Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); **IMF eLibrary** (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); **Royal Society Journals Collection** (<https://royalsociety.org/journals/>); **SAGE Premier** (<http://journals.sagepub.com/>), <https://www.ebsco.com/terms-of-use> (**EBSCO-Legal Collection**), რომლებიც საშუალებას აძლევენ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პრაქტიკას მაგისტრანტები გადიან სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბაზაზე და იყენებენ იქ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური (მათ შორის აფილირებული) და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია-დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და სხვ.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერა. ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების (მათ შორის შიდა გრანტი, კონფერენციები და სხვ.), სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსებისა და სხვა აქტივობების ხარჯები. სამაგისტრო პროგრამისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

შენიშვნა:

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: _____ თ. დოლიაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: _____ რ. კვარაცხელია

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის დანართები

დანართი N 1

**”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა
სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით**

#	სასწავლო კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები			
					საკონტაქტო საათები					I	II	III	IV
					ლექცია	ჯგ. მუშაობა/პრ. მუშაობა მულტიმედია გამოცდები	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობის საათები				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
სავალდებულო კომპონენტი										105 კრედიტი			
მათ შორის: სასწავლო კომპონენტი										90 კრედიტი			
სავალდებულო სასწავლო კურსები -										65 კრედიტი			
1.	მარკეტინგის მენეჯმენტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	-	5	125	15	30	2	47	78	X			
2.	საქმიანი კომუნიკაციები ინგლისურ ენაზე	-	5	125	15	30	2	47	78	X			
3.	გლობალური ბიზნესი	-	5	125	15	30	2	47	78	X			
4.	მენეჯერული აღრიცხვა	-	5	125	15	30	2	47	78	X			
5.	ოპერაციული მენეჯმენტი	-	5	125	15	30	2	47	78	X			
6.	ფინანსური ანგარიშგება	4	5	125	15	30	2	47	78		X		
7.	კვლევის მეთოდები ბიზნესში	-	6	150	30	30	2	62	88		X		
8.	ფინანსური მენეჯმენტი	-	5	125	15	30	2	47	78		X		
9.	პროექტების მენეჯმენტი	-	5	125	15	45	2	62	63		X		
10.	ლიდერობა	-	4	100	15	15	2	32	68		X		
11.	ფინანსური ანალიზი	6	5	125	15	30	2	47	78			X	
12.	მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ბიზნესში Excel-ისა და SPSS-ის გარემოში	7	5	125	-	45	2	47	78			X	
13.	ლოგისტიკური მენეჯმენტი ბიზნესში	3	5	125	15	30	2	47	78			X	
პრაქტიკული კომპონენტი -										10 კრედიტი			
14.	პრაქტიკა	1-10	10	250	-	-	-	158	92			X	

კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი																					
15.	სამაგისტრო ნაშრომი სპეციალობაში	1-13	30	750	-	-	-	-	750											X	
არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტი - 15 კრედიტი																					
16	საერთაშორისო ბიზნეს-სამართალი	-	5	125	15	30	2	47	78	X	5 კრედიტი										
17	აკადემიური წერა მაგისტრანტებისათვის (თავ. კომპონენტი)	-	5	125	15	30	2	47	78	X											
18	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	-	5	125	15	30	2	47	78	X											
19	საერთაშორისო კონკურენცია	-	5	125	15	30	2	47	78	X											
20	ელექტრონული კომერცია	-	5	125	15	30	2	47	78		X	5 კრედიტი									
21	მენეჯერული ეკონომიკა	-	5	125	15	30	2	47	78		X										
22	ორგანიზაციები და კულტურები	3	5	125	15	30	2	47	78		X										
23	რისკების მართვა	8	5	125	15	30	2	47	78			X	5 კრედიტი								
24	ინოვაციური მენეჯმენტი	-	5	125	15	30	2	47	78			X									
25	საერთაშორისო მენეჯმენტი	3	5	125	15	30	2	47	78			X									
<p>თავისუფალი კრედიტები: მაგისტრანტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან საგნები არაუმეტეს 10 კრედიტისა. არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.</p>																					

***შენიშვნა:** 1) სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 90 კრედიტის მოპოვება, მეცნიერ ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და ანტიპლაგიატის დადებითი დასკვნები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და შედეგების შედარება/პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები	შენიშვნა
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცისა და შრომითი ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და აღრიცხვა-ანალიზის სფეროში.</p>	<ul style="list-style-type: none"> განსაზღვრავს ბიზნესის სუბიექტების ინტერესების და საქმიანი ორგანიზაციების ფუნქციონირების მულტიკულტურულ თავისებურებებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, აღრიცხვა-ანალიზის პროცესის კროსდისციპლინალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე. 	
<p>გამომუშავებული უნარებით მაგისტრანტი მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა. კერძოდ, პროგრამა გამოუმუშავებს ბიზნეს-გარემოსა და რისკების შეფასების, სწორი მარკეტინგული, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციის უნარს.</p>	<ul style="list-style-type: none"> არჩევს მარკეტინგის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს და რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრების სტრატეგიებს; იყენებს ლიდერის ეფექტური ქცევის უნარებსა და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკურ მეთოდებს სხვადასხვა ბიზნეს-პროექტების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციისა და საბაზრო რისკების პირობებში. აფასებს სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო რისკებს გლობალურ ბიზნესგარემოში სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად; აფასებს გადახდისუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას ფირმის ფარული რეზერვების გამოსავლენად მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის; კრიტიკულად აანალიზებს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ რთულ ან არასრულ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს; 	

	<ul style="list-style-type: none"> • ასაბუთებს არგუმენტირებულ დასკვნებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო ტექნოლოგიებით ახდენს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე. 	
<p>სტუდენტი შეძლებს დარგობრივი კომპეტენციების განახლებისათვის აუცილებელი საჭიროებების დაგეგმვას, მას ჩამოუყალიბდება ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • გეგმავს დამოუკიდებლად ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ საჭიროებებს; • იცავს ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო ნორმებს და შეაქვს წვლილი ამ ღირებულებების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების პროცესში. 	

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი

სახელი, გვარი	სტატუსი	აფილირების შესახებ	სასწავლო კურსები
ნიკოლოზ ნაცვლიშვილი	ასოცირებული პროფესორი		გლობალური ბიზნესი ორგანიზაციები და კულტურები
ელისაბედ ბალიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	ოპერაციული მენეჯმენტი ინოვაციური მენეჯმენტი პროექტების მენეჯმენტი
თინათინ დოლიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	მენეჯერული აღრიცხვა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანალიზი
დავით კბილაძე	პროფესორი	აფილირებული	კვლევის მეთოდები ბიზნესში ეროვნულ ანგარიშთა სისტემა
პაატა კუნჭულია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	ფინანსური მენეჯმენტი რისკების მართვა
ნინო ლიპარტელიანი	ასოცირებული პროფესორი		საერთაშორისო კონკურენცია
თამარ ჩაჩანიძე	ასოცირებული პროფესორი		მენეჯერული ეკონომიკა
მანანა ნანიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი		მარკეტინგის მენეჯმენტი (ქართულ ენაზე) ელექტრონული კომერცია საერთაშორისო მენეჯმენტი
ხატია შვეარდნაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის
ირინე მანიჭაშვილი-შავლიაშვილი	ასოცირებული პროფესორი		
ია ხარაზი	ასოცირებული პროფესორი		საერთაშორისო ბიზნეს-სამართალი
გიორგი სუბელიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	ლიდერობა
ვახტანგ ნადირაძე	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული	მენეჯერული აღრიცხვა
ნათია ბუთხუზი	მოწვეული პერსონალი		ლოგისტიკური მენეჯმენტი ბიზნესში
თამარ ხეცურიანი	მოწვეული პერსონალი		საქმიანი კომუნიკაციები ინგლისურ ენაზე
მამუკა ღალანიძე	მოწვეული პერსონალი		მარკეტინგის მენეჯმენტი (ინგლისურ ენაზე)
რუსუდან სეთურიძე	მოწვეული პერსონალი		მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ბიზნესში Excel-ისა და SPSS-ის გარემოში პროექტების მენეჯმენტი

კურიკულუმის რუკა

N	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები								
		შედ. 1	შედ. 2	შედ. 3	შედ. 4	შედ. 5	შედ. 6	შედ. 7	შედ. 8	შედ. 9
1	მარკეტინგის მენეჯმენტი	1,2,3	3				3	3	3	
2	საქმიანი კომუნიკაციები ინგლისურ ენაზე	1,2	2					3	1	
3	გლობალური ბიზნესი	1	1		1	1	1	1		1
4	მენეჯერული აღრიცხვა	1		1			2	2	1	
5	ოპერაციული მენეჯმენტი	1,2		2			2	2	1	
6	ფინანსური ანგარიშგება	2				2	1	1	2	
7	კვლევის მეთოდები ბიზნესში	1	2	2	2	2	2	2	1	2
8	ფინანსური მენეჯმენტი	1,2,3			3		3	3	3	
9	პროექტების მენეჯმენტი	2,3		3			3	3	3	2
10	ლიდერობა	2,3		3			2	3	2	3
11	ფინანსური ანალიზი	3				3	3	3	3	
12	მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ბიზნესში Excel-ისა და SPSS-ის გარემოში	2		2	2	2	2	2	2	
13	ლოგისტიკური მენეჯმენტი ბიზნესში	2,3	2				2	2	2	
14	პრაქტიკა		3	3	3	3	3	3	3	
15	სამაგისტრო ნაშრომი სპეციალობაში	3	3	3	3	3	3	3	3	3

შედეგი 1. განსაზღვრავს ბიზნესის სუბიექტების ინტერესების და საქმიანი ორგანიზაციების ფუნქციონირების მულტიკულტურულ თავისებურებებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, აღრიცხვა-ანალიზის პროცესის კროსდისციპლინალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე;

შედეგი 2. არჩევს მარკეტინგის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს და რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრების სტრატეგიებს;

შედეგი 3. იყენებს ლიდერის ეფექტური ქცევის უნარებსა და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკურ მეთოდებს სხვადასხვა ბიზნეს-პროექტების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციისა და საბაზრო რისკების პირობებში;

შედეგი 4. აფასებს სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო რისკებს გლობალურ ბიზნესგარემოში სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად;

შედეგი 5. აფასებს გადახდისუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას ფირმის ფარული რეზერვების გამოსავლენად მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

შედეგი 6. კრიტიკულად აანალიზებს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ რთულ ან არასრულ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს;

შედეგი 7. ასაბუთებს არგუმენტირებულ დასკვნებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო ტექნოლოგიებით ახდენს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.

შედეგი 8. გეგმავს დამოუკიდებლად ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მულტიმედიური განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ საჭიროებებს;

შედეგი 9. იცავს ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო ნორმებს და შეაქვს წვლილი ამ ღირებულებების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებაში.

შენიშვნა: დანართ 3-ში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება და 3-

განმტკიცება.

სამიზნე ნიშნულები

N	სწავლის შედეგი	სამიზნე ნიშნული
1.	განსაზღვრავს ბიზნესის სუბიექტების ინტერესების და საქმიანი ორგანიზაციების ფუნქციონირების მულტიკულტურულ თავისებურებებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, აღრიცხვა-ანალიზის პროცესის კროსდისციპლინალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 30% მაქსიმალური შეფასების 71- 80%
2.	არჩევს მარკეტინგის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს და რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრების სტრატეგიებს;	სტუდენტთა 30% - 17-19 ქულა (24 ქულიდან)
3.	იყენებს ლიდერის ეფექტური ქცევის უნარებსა და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკურ მეთოდებს სხვადასხვა ბიზნეს-პროექტების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციისა და საბაზრო რისკების პირობებში.	სტუდენტთა 40% - 16-18 ქულა (22 ქულიდან)
4.	აფასებს სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო რისკებს გლობალურ ბიზნესგარემოში სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად;	სტუდენტთა 25% - 17-19 ქულა (24 ქულიდან)
5.	აფასებს გადახდისუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას ფირმის ფარული რეზერვების გამოსავლენად მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;	სტუდენტთა 25% - 11-13 ქულა (18 ქულიდან)
6.	კრიტიკულად აანალიზებს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ რთულ ან არასრულ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს;	სტუდენტთა 50% - 20-22 ქულა (25 ქულიდან) B შეფასება
7.	ასაბუთებს არგუმენტირებულ დასკვნებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო ტექნოლოგიებით ახდენს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე;	სტუდენტთა 60 % - 20-22 ქულა (25 ქულიდან) B შეფასება
8.	გეგმავს დამოუკიდებლად ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ საჭიროებებს;	სტუდენტთა 60 % - 20-22 ქულა (25 ქულიდან) B შეფასება
9.	იცავს ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო ნორმებს და შეაქვს წვლილი ამ ღირებულებების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების პროცესში.	სტუდენტთა 60% - 11-13 ქულა (16 ქულიდან)